პრეზიდენტი დიტერ ფ. უხთდორფი
პირველ პრეზიდენტთა
მეორე მრჩეველი



ღმერთის დიდებული საქმე

6 აპრილი 1830

ასოთხმოცი წლის წინ, იოსებ სმითი ოლივერ კაუდერისთან და ადამიანების პატარა ჯგუფთან ერთად, შეიკრიბა რომ დაეარსებინათ უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია. მაშინდელი ჩანაწერების მიხედვით ეს იყო უბრალო, მაგრამ სულერებით აღსავსე შეხვედრა. იოსებმა შემდეგნაირად აღწერა, რომ ზიარების შემდეგ, „სული წმინდა უხვად იყო ჩვენზედ მოფენილი—ზოგი წინასწარმეტყველებდა, იმ დროს, როდესაც ჩვენ უსაზღვრო სიხარულით ვადიდებდით უფალს.”[1]

მსოფლიოსთვის შეუმჩნევლად ჩაიარა იმ დღის მოვლენებმა და მათ არც ჟურნალ-გაზეთების ყურადღება მიუპყრიათ. მიუხედავად ამისა, როგორი ბედნიერებით აღივსებოდა ზეცა და განადიდებდა ღმერთს—რადგან იმ დღიდან, იესო ქრისტეს ეკლესია დაბრუნდა დედამიწაზე!

სოლომონ ჩემბერლენი

იმ დღიდან დღემდე, მილიონობით რწმენით აღსავსე მამაზეციერის შვილები და ქალიშვილები მიჰყვნენ სულიწმინდის ძახილს და შევიდნენ წმინდა ნათლობის წყალში. ერთ-ერთი მათგანი იყო სოლომონ ჩემბერლენი.

სოლომონი იყო სულიერი ადამიანი და საათობით ლოცულობდა, იგი ემებდა ცოდვების მიტევებას და სთხოვდა მამაზეციერს გაეკვლო მისთვის გზა ჭეშმარიტებისაკენ. დაახლოებით 1816 წელს სოლომონს ჰქონდა ხილვა რომელშიც მან მიიღო დაპირება, რომ მის ცხოვრებაში ის მოესწრებოდა ისეთ დღეს, როდესაც ქრისტეს ეკლესია აღდგებოდა და მოციქულთა საეკლესიო წოდება კვლავ ჩამოყალიბდებოდა დედამიწაზე.

გავიდა წლები და ერთხელ როდესაც, სოლომონი მოგზაურობდა გემით კანადისაკენ, მისი ხომალდი შეჩერდა ნიუ იორკის შტატის, პატარა ქალაქ პალმირაში. მან იქ იგრძნო დაუძლეველი სურვილი, რომ ჩამოსულიყო გემიდან ნაპირზე. არ იცოდა რისთვის იყო იქ, მან დაიწყო ქუჩაში საუბარი მოქალაქეებთან. ცოტახანში მან გაიგო „ოქროს ბიბლიის ამბავი.” მან სთქვა, რომ ამ ორ სიტყვამ გაუგზავნა „ელექტრო მუხტი თავიდან ფეხის თითებამდე.”

მან კითხვა კითხვით მიაგნო სმიტის სახლს, სადაც მას მოუთხრეს იქმყოფებმა შესანიშნავი ახალი ამბავი აღდგენილი სახარების შესახებ. როდესაც სოლომონმა იქ ორი დღე გაატარა და მიიღო ჭეშმარიტების დამოწმება, მან გააგრძელა მოგზაურობა კანადისაკენ და თან წაიღო 64 ცალი ახლად დაბეჭდილი მორმონის წიგნის უყდო გვერდები. ის სადაც არ მივიდა, ყველგან

ასწავლიდა ხალხს, „დიდებულს და მდაბიოს, ღარიბს და მდიდარს. . . რომ მომზადებულიყვნენ ღმერთის დიდებული საქმისათვის რომელიც მალე ყველასათვის თვალსაჩინო იქნებოდა.”[2]

ღმერთის დიდებული საქმე

1830 წლის აპრილის იმ დღიდან მოყოლებული, მილიონობით ადამიანებმა იპოვეს აღდგენილი სახარების ჭეშმარიტება და მოინათლნენ. მე ვამოწმებ რომ „ღმერთის ეს დიდებული საქმე,” დღესაც გრძელდება დედამიწაზე. მე ვამოწმებ, რომ უფალი თვალყურს ადევნებს მის ეკლესიას და განაგებს მას, მისი წინასწარმეტყველის, პრეზიდენტ თომას ს. მონსონის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელ დღეებში ცხოვრება, არის არაჩვეულებრივი კურთხევა. ეს არის ბრწყინვალე დრო, რომელიც იწინაწარმეტყველეს უძველესმა წინასწარმეტყველებმა და რომელსაც ჰყავს მფარველი ანგელოზები. უფალი ზრუნავს მის ეკლესიაზე. ის ასევე ზრუნავს მათზეც, რომლებიც როგორც სოლომონ ჩემბერლენი, მიჰყვება სულიწმინდის კარნახს და შეუერთდება მის ძმებს და დებს, მთელს მსოფლიოში, ღმერთის დიდებული საქმის გასაკეთებლად.

შენიშვნები

1. იოსებ სმითი, *History of the Church,* 1:78.
2. “A Short Sketch of the Life of Solomon Chamberlain,” საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ტექსტი, ეკლესიის ისტორიის ბიბლიოთეკა, (ინტერნეტში მისამართზე www.boap.org/LDS/Early-Saints/SChamberlain.html), იხილეთ ასევე ვილიამ ჰართლის, “Every Member Was a Missionary,” *Ensign,* სექტემბერი 1978, 23. ეკლესიის დაარსებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ, სოლომონ ჩემბერლენი მოინათლა იოსებ სმითის მიერ სენეკას ტბაში, ნიუ იორკის შტატში.

ამ მოწოდების სწავლება

„ პირადი მაგალითი არის ერთერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც ჩვენ გვაქვს ადამიანების სასწავლებლად” (*Teaching, No Greater Call* [1999], 18). როდესაც მოუთხრობთ სოლომონ ჩემბერლენის ისტორიას, სთხოვეთ ოჯახის წევრებს, რომ გაიხსენონ ის დრო, როდესაც ის მიჰყვა სულის კარნახს. ისაუბრეთ იმაზე თუ როგორ დაეხმარებოდათ სხვებსაც მისი მაგალითი. ოჯახის წევრებს სთხოვეთ თუ როგორ დაეხმარათ მათ, ვინმეს მიერ ნაჩვენები კარგი თვალსაჩინო მაგალითი.

ახალგაზრდობა

ჩემი რწმენის გამოცდა

ჯეისონ იანგის მიერ

როდესაც მე 13 წლის ვიყავი, მე დავიწყე მორმონის წიგნის ყოველდღე კითხვა და იმ დღიდან დღემდე ვიყავი დალოცვილი ყოველი დღე.

ჩვენი შაბათის სკოლის კლასი, 13 წლის მოსწავლეთათვის, მაინცადამაინც არ იყო ცნობილი თავისი მოკრძალებით. მიუხედავად ამისა ჩვენ გვყავდა შესანიშნავი მასწავლებელი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა სულით ესწავლებინა ჩვენთვის ყველა გაკვეთილი. ერთი ასეთი გაკვეთილი იყო წმინდა წერილების კითხვაზე.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა მოგვცა საშინაო დავალება. ის ეხებოდა ყველას მაგრამ რატომღაც მან პირდაპირ მე შემომხედა და მითხრა: „მე შენ გავალებ რომ ყოველდღიურად წაიკთხო მორმონის წიგნი!” მე ჩემთვის გავიფიქრე: „მე თქვენ განახებთ. ამას მე გავაკეთებ!”

მე იმავე საღამოს დავიწყე პირველი ნეფის პირველი თავის კითხვა და ყოველდღე ვაგრძელებდი. მე ალბათ სწორად არ მქონდა ჩამოყალიბებული დამოკიდებულება როდესაც კითხვა დავიწყე, მაგრამ დროთა განმავლობაში მე მომეწონა თუ რას ვგრძნობდი როდესაც ვკითხულობდი მორმონის წიგნს. ამიტომ ყოველ ღამე წიგნის კითხვა სასიამოვნო ჩვევაში გადაიზარდა.

რამოდენიმე თვე წიგნის კითხვის შემდეგ მე მივედი შემდეგ თავზე ალმა 32 და ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა რწმენის გამოცდის იდეამ. იმ დროს სკოლაში ვსწავლობდით მეცნიერული ცდების ჩატარებას და ამიტომაც დავიჩოქე და ვუთხარი მამაზეციერს რომ ვიწყებდი ექსპერიმენტს. მე ვსთხოვე დამეხმარებოდა იმის გაგებაში, იყო თუ არა მორმონის წიგნი ჭეშმარიტი.

დღევანდელი დღის გადასახედიდან, მე ვიცი, რომ მამაზეციერმა ბევრჯერ უპასუხა ჩემს ლოცვებს. ყოველდღე მორმონის წიგნის კითხვამ მომცა ძალა, რითაც შევძელი ბოროტების დაძლევა. მე უფრო ახლოს ვიგრძენი თავი, ჩემს მამაზეციერთან. ვიგრძენი, რომ

სულიწმინდისგან მქონდა ძალა წინააღმდეგობების დასაძლევად. რაც სთქვა ალმამ, ღმერთის სიტყვის გამოცდაზე არის ჭეშმარიტება: „დიახ დაიწყო ჩემი სულის გაზრდა, ამით დაიწყო ჩემი შეგნების განწმენდა, დიახ ჩემთვის ეს არის მშვენიერი" (ალმა 32:28).

ბავშვები

განსაკუთრებული კურთხევა

ეკლესია ჩამოყალიბდა ამ თვეს, 180 წლის წინ. პრეზიდენტმა დიტერ უხთდორფმა სთქვა, რომ დღევანდელ დღეს ცხოვრება არის „განსაკუთრებული კურთხევა" როდესაც ეკლესია აღდგენილია. იმისათვის, რომ გაიგოთ იმ დიდ დალოცვებზე რომლებსაც მამაზეციერი აძლევს ხალხს ეკლესიაში, გადახედეთ ქვევით მოყვანილ წმინდა წერილებს.

მოციქულთა საქმენი 22:16.
2 ნეფი 32:5.
იაკობი 5:14–15.
მოძღვრება და აღთქმები 20:8–12.
ამოსი 3:7.
მოძღვრება და აღთქმები 110:7–10.

© 2010 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში ინგლისურად დამტკიცებულია 6/09. თარგმანი დამტკიცებულია 6/09.
თარგმანი *First Presidency Message, April 2010.* Georgian 09364 131

ზეშთაგონების ძიება და მიღება

ასწავლეთ ეს წმინდა წერილები და ციტატები ან საჭიროებისამებრ სხვა პრინციპები, რომლებიც დალოცავენ იმ დებს, ვისთანაც სტუმრად მიდიხართ. გაუზიარეთ თქვენი დამოწმება მოძღვრებაზე. გაკვეთილის დროს, სთხოვეთ, მათაც ვისაც სტუმრობთ რომ გაგიზიარონ თუ რა იგრძნეს და ისწავლეს.

როგორ უნდა ვიპოვო ზეშთაგონება?

„ჩვენ, წმინდა წერილების კითხვით, მარხვით, ლოცვით და რწმენის აღშენებით ვემზადებით, რომ მივიღოთ ისეთივე ზეშთაგონება როგორსაც იღებენ წინასწარმეტყველები. რწმენა არის გასაღები. გაიხსენეთ იოსების პირველი ხილვისათვის მზადება:

„თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს. . . .

„რწმენით, და ეჭვის გარეშე სთხოვოს.”[1]

უხუცესი რობერტ დ. ჰეილსი, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან.

„ლოცვა არის *თქვენი* პირადი გასაღები ზეცაში. რომლის საკეტი იმყოფება ფარდის თქვენ მხარეს.

„მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. მისთვის ვისაც ჰგონია რომ ზეშთაგონებას მიიღებს ძალისხმევის გარეშე, უფალმა სთქვა:

„თქვენ ვერ მიხვდით, თქვენ გგონიათ, რომ მე ამას გიბოძებდით მაშინ როდესაც არც გიფიქრიათ არაფერი გარდა იმისა, რომ მთხოვეთ.

„მაგრამ აჰა, თქვენ გეუბნებით, რომ უნდა ეს შეიგნოთ თქვენი *გონებით,* შემდეგ უნდა შემეკითხოთ არის თუ არა ეს სწორი და თუ ეს ასეა, მაშინ, მე გაგრძნობინებთ გულში სითბოს, აი ამგვარად თქვენ *იგრძნობთ* რომ ეს არის სწორი და მართალი.”[2]

პრეზიდენტი ბოიდ კ. პაკერი, თორმეტ მოციქულთა ქვორუმის პრეზიდენტი.

როგორ შემიძლია მივიღო ზეშთაგონება?

„ყველაზე გავრცელებულად, ზეშთაგონება ან შთაგონება მოდის სიტყვების ან ფიქრების გააზრებით, რომელიც გვებადება გონებაში (იხილეთ ენოსი 1:10; მოძღვრება და აღთქმები 8:2–3), მოულოდნელი განათლებით (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 6:14–15), შემოთავაზებული საქმის მიმართ დადებითი ან უარყოფითი გრძნობებით ან თუნდაც თეატრალური წარმოდგენით მიღებული შთაბეჭდილებით. როგორც პრეზიდენტმა ბოიდ კ. პაკერმა, . . . თორმეტ მოციქულთა ქვორუმის პრეზიდენტმა სთქვა, შთაგონება მოდის უფრო გრძნობით ვიდრე სიტყვით.”[3]

უხუცესი დალინ ჰ. ოაკსი, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან.

„ტაძარი არის განათლების სახლი. შთაგონების დიდი ნაწილი რომელსაც ვიღებთ ტაძარში არის სიმბოლოებით და აღიქვება სულით. ეს იმას ნიშნავს რომ ჩვენ ზეციდან გვარიგებენ და გვასწავლიან. . . . ჩვენი ცოდნა ტაძრის წესჩვეულებებზე და აღთქმებზე უფრო გაიზრდება

შინამასწავლებლის დასახმარებლად

როდესაც ხართ შინამასწავლებელი, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ სულის შთაგონება თქვენი დების მოთხოვნებების დასახმარებლად. როდესაც ასწავლით ამ მოწოდებას, საჭიროებისამებრ გაუზიარეთ ნებისმიერი შთაგონება ან დახმარება რომელიც ოდესმე მიგიღიათ შინამასწავლებლად ყოფნის დროს.

პირადი მომზადება

1 მეფეთა 3:10 .
3 მეფეთა 19:11–12
ალმა 5:46 ;26:22
3 ნეფი 19:19–23
მოძღვრება და აღთქმები 8:2–3; 9:8–9; 88:63–64

როდესაც უფრო ხშირად ვივლით ტაძარში ნამდვილი მოწადინებით და სურვილით რომ ვისწავლოთ და ჩავწვდეთ მარადიული სიბრძნის ჭეშმარიტებებს. . . . მოდით დავტკბეთ სულიერი ძალით და ზეშთაგონებით რომელსაც ჩვენ ვიღებთ რეგულარულად ტაძარში ყოფნით."[4]

სილვია ჰ. ალრედი, ხსნის საზოგადოების გენერალური პრეზიდენტის პირველი მრჩეველი.

მენიმვნები

1. "Personal Revelation: The Teachings and Examples of the Prophets," *Liahona,* ნოემბერი. 2007, 88.
2. "Personal Revelation: The Gift, the Test, and the Promise," *Ensign,* ნოემბერი. 1994, 59–60.
3. "Eight Reasons for Revelation," *Liahona,* სექტემბერი. 2004, 8.
4. "Holy Temples, Sacred Covenants," *Liahona,* ნოემბერი. 2008, 113, 114.

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურ ენაზე დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *Visiting Teaching Message April 2010.* Georgian 09364 131